ცვლილება დამტკიცებულია

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის

აკადემიური საბჭოს მიერ, ოქმი №12, 20.12.2021წ.

რექტორი, პროფესორი _____ მარინა ფირცხალავა

შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედში აკადემიური პერსონალის არჩევისა და დანიშვნის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ და შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის (შემდგომში „უნივერსიტეტი") წესდების შესაბამისად, განსაზღვრავს აკადემიური პერსონალის არჩევისა და დანიშვნის წესსა და პროცედურებს.
2. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორისაგან, ასოცირებული პროფესორისაგან, ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტისაგან.
3. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება ხორციელდება პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიის საფუძველზე, ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ან/და წარმოქმნილი ვაკანსიის შევსების მიზნით. კონკურსის გამოცხადების საჭიროებას ადგენს ფაკულტეტი და გადაწყვეტილებას წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე რექტორი გამოსცემს სამართლებრივ აქტს კონკურსის გამოცხადების შესახებ თანამდებობების, ვადების, წარმოსადგენი საბუთების, საკონკურსო და სააპელაციო კომისიების შემადგენლობის მითითებით.

მუხლი 2. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
2. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე საჯაროდ, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, საქართველოს პერიოდულ პრესაში და ვაკანსიების საინფორმაციო სივრცის (www.hr.ge/www.jobs.ge) საშუალებით.
3. აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსანტთა არჩევა ხდება საკონკურსო კომისიის მიერ დოკუმენტაციის შესწავლის და გასაუბრების საფუძველზე,

რეიტინგული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით დაგროვებული ქულების შესაბამისად.

4. კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტმა წინასწარ უნდა განაცხადოს თანხმობა უნივერსიტეტთან აფილირების შესახებ, აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემდეგ კი უნდა მოახდინოს უნივერსიტეტთან აფილირების შესახებ წერილობითი შეთანხმება.
5. პროფესორი აკადემიურ თანამდებობაზე ინიშნება არანაკლებ 5 წლის ვადით. ასოცირებული პროფესორი აკადემიურ თანამდებობაზე ინიშნება არანაკლებ 5 წლის ვადით. ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი აკადემიურ თანამდებობაზე ინიშნება 3 ან 4 წლის ვადით.

მუხლი 3. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები

1. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.
   კლინიკურ მიმართულებებში პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, ბოლო 9 წლის კლინიკური მუშაობის გამოცდილება, ასევე კლინიკური დისციპლინის შესაბამისი სპეციალობის სახელმწიფო სერტიფიკატი.
2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
   კლინიკურ მიმართულებებში ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება, ბოლო 5 წლის კლინიკური მუშაობის გამოცდილება, ასევე კლინიკური დისციპლინის შესაბამისი სპეციალობის სახელმწიფო სერტიფიკატი.
3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი.
   კლინიკურ მიმართულებებში ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს ბოლო 5 წლის კლინიკური მუშაობის გამოცდილება, ასევე კლინიკური დისციპლინის შესაბამისი სპეციალობის სახელმწიფო სერტიფიკატი.
4. ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი (პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში).
   კლინიკურ მიმართულებებში ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი (პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში) კლინიკურ სპეციალობაში, რომელსაც აქვს კლინიკური დისციპლინის შესაბამისი სპეციალობის სახელმწიფო სერტიფიკატი.
5. დასაშვებია პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ ამ მუხლის 1-4 პუნქტებით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობების დაკავების

შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით (პროფესიული გამოცდილების ხანგრძლივობა: პროფესორისთვის - 10 წელი, ასოცირებული პროფესორისთვის - 8 წელი, ასისტენტ-პროფესორისთვის -6 წელი, ასისტენტისთვის - 5 წელი), სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით (პროფესორისთვის - არანაკლებ 4 პუბლიკაცია, ასოცირებული პროფესორისთვის - არანაკლებ 3 პუბლიკაცია, ასისტენტ-პროფესორისთვის - არანაკლებ 2 პუბლიკაცია, ასისტენტისთვის - არანაკლებ 1 პუბლიკაცია). შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

6. უნივერსიტეტი უფლებამოსილია საკონკურსო განაცხადით დაადგინოს დამატებითი კრიტერიუმები:

   ა) სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობა;

   ბ) რეცენზირებად და რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები;

   გ) მონოგრაფია შესაბამის დარგში;

   დ) პრაქტიკული გამოცდილება შესაბამის დარგში;

   ე) ინგლისური ენის ცოდნა.

   დამატებით პირობებს განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს რექტორი.

7. პროფესორის თანამდებობაზე 5 წელზე მეტი ვადით არჩევის შემთხვევაში პროფესორი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას. ატესტაციის გავლას არ ექვემდებარება პროფესორი, რომელიც პროფესორის თანამდებობაზე არჩეულია 5 წელზე მეტი ვადით, მაგრამ პროფესორის თანამდებობაზე არჩევიდან 5 წლის შემდეგ დარჩენილი აქვს უფლებამოსილების 5 წელზე ნაკლები ვადა. ატესტაცია ტარდება რექტორის ბრძანებით შექმნილი შესაბამისი კომისიის/კომისიების მიერ.

მუხლი 4. კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. აკადემიური თანამდებობის დაკავების მიზნით კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

   ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

   ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (პასპორტი, პირადობის მოწმობა);

   გ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

   დ) პედაგოგიური საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის თანამდებობაზე დოკუმენტის წარმოდგენა არ მოითხოვება);

ე) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების სია;

ვ) ავტობიოგრაფია CV (ქართულ და ინგლისურ ენებზე);

ზ) შესაბამისი სილაბუსი (ასისტენტის თანამდებობაზე სილაბუსის წარმოდგენა არ მოითხოვება);

თ) ორი ფოტო სურათი ელექტრონული (CD) სახით;

ი) სამეცნიერო -კვლევითი მუშაობის კონცეფცია.

კ) ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ.

ლ) კლინიკური დისციპლინის შემთხვევაში: კლინიკური მუშაობის გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული ცნობა და შესაბამისი სპეციალობის სახელმწიფო სერტიფიკატი;

მ) კლინიკურ მიმართულებებში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტმა, რომელიც არ მოღვაწეობს უნივერსიტეტის კონტრაქტორ კლინიკებში, უნდა წარმოადგინოს თანხმობის წერილი კლინიკის ხელმძღვანელისაგან, სადაც განხორციელდება სასწავლო პროცესი.

ნ) ინგლისურენოვანი პროგრამის განხორციელების შემთხვევაში კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის (B2 დონე) ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან გაიაროს ტესტირება ინგლისურ ენაში. ტესტის საკითხები და კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება უნივერსიტეტის მიერ.

დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამის განხორციელების შემთხვევაში კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამით სწავლების, სულ მცირე, 3 წლის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ან საზღვარგარეთ მოქმედ კლინიკაში ინგლისურ ენაზე საექიმო საქმიანობის არანაკლებ 1 წლის განმავლობაში განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ან ინგლისურენოვანი დიპლომამდელი ან დიპლომისშემდგომი პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, ან ინგლისური ენის, სულ მცირე, B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (IELTS, TOEFL, Cambridge English, UNIcert), ან გაიაროს ტესტირება ინგლისურ ენაში. ტესტის საკითხები და კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება უნივერსიტეტის მიერ.

მუხლი 5. საკონკურსო კომისია და კონკურსანტთა შეფასება

1. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კრიტერიუმების შესაბამისად კანდიდატთა შერჩევის მიზნით, რექტორის სამართლებრივი აქტით, იქმნება საკონკურსო კომისია ხუთი წევრის შემადგენლობით (მათ შორის: ერთი კომისიის თავმჯდომარე, ერთი კომისიის მდივანი).
2. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედიან: პროგრამის შესაბამისი დარგის სპეციალისტები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი.

3. საკონკურსო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს იმავე კონკურსში მონაწილე კანდიდატი.
4. კონკურსის ორგანიზებას უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური. საკონკურსო დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში საკონკურსო განცხადება მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.
5. საკონკურსო კომისიის უფლებამოსილებას შეადგენს:
   ა) საკონკურსო განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტების მიღება, განხილვა;
   ბ) გასაუბრების ჩატარება;
   გ) კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების შეფასების საფუძველზე დაგროვებული ქულების შესაბამისად (დანართი 1).
6. გამარჯვებულად ჩაითვლება კონკურსანტი, რომელიც მიიღებს ყველაზე მაღალ შეფასებას.
7. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმს ადგენს კომისიის მდივანი. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და კომისიის წევრები.
8. საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსის შედეგების შესახებ ხმათა უმრავლესობით.
9. საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. რექტორი სამართლებრივ აქტს გამოსცემს კონკურსის შედეგების გასაჩივრებისთვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.
10. კონკურსის შედეგები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ეცნობება კონკურსის მონაწილეებს.
11. საკონკურსო კომისია წყვეტს საქმიანობას კონკურსის შედეგების დამტკიცებისთანავე.

მუხლი 6. კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი

1. კონკურსანტს უფლება აქვს გაასაჩივროს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი დღის ვადაში სააპელაციო კომისიაში.
2. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება მონაწილეობდეს საკონკურსო კომისიაში მყოფი პირი.
3. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია გამოითხოვოს საკონკურსო მასალები, შეისწავლოს დოკუმენტაცია, მოისმინოს დაინტერესებული მხარის ახსნა-განმარტება და მიიღოს გადაწყვეტილება მათზე დაყრდნობით, წინასწარ დადგენილ ვადებში.
4. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია არ მიიღოს საქმე წარმოებაში თუ განცხადებაში არ არის ჩამოყალიბებული არგუმენტები, რაც მიუთითებს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების უკანონობას ან დაუსაბუთებლობას.
5. სააპელაციო კომისია, საკონკურსო მასალების სრულად და ობიექტურად შესწავლის შემდეგ, გამოიტანს გადაწყვეტილებას აპელაციის დაკმაყოფილების, ან დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ.

6. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით და წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს.
7. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორი გამოსცემს სამართლებრივ აქტს პირის/პირების შესაბამის აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ.
8. კონკურსანტი უფლებამოსილია სასამართლოში გაასაჩივროს საკონკურსო ან/და სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება.

რეიტინგული შეფასების კრიტერიუმები:

1. პედაგოგიური სტაჟის მქონე პედაგოგებს მუშაობის წლების რაოდენობის შესაბამისი ქულა.
2. სამეცნიერო სტატია (ბოლო 5 წლის განმავლობაში): რეცენზირებად და რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებულ ყოველ სტატიაზე - 3 ქულა.
3. მონოგრაფია შესაბამის დარგში (ბოლო 5 წლის განმავლობაში) - 20 ქულა;
4. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში):
   ა) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა - 10 ქულა;
   ბ) რეგიონულ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა - 3 ქულა.
5. გასაუბრება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კონცეფციის თაობაზე - 5 ქულა.